

## ხონის ფორუმის შიდა წესები

ფორუმზე გაწევრიანებითა და მოხმარებით თქვენ ავტომატურად ეთანხმებით ჩვენს წესებს.

ფორუმის წესები:

1. **პოლიტიკა:** ჯგუფში იკრძალება: პოლიტიკური შინაარსის სიახლეების განთავსება ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად.
2. **რეკლამა:** ჯგუფში იკრძალება: ყველანაირი სახის რეკლამა ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად
3. **ცენზურა:** ჯგუფში იკრძალება: პროვოცირება, უცენზურო სიტყვების გამოყენება ასევე დამცინავი და დამაკნინებელი სიტყვების გამოყენება ნებისმიერი ჯგუფის წევრის ან კონკრეტული საკითხის მიმართ.
4. **ჯგუფი/გვერდი:** ჯგუფში იკრძალება: ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად სხვა გვერდის ან ჯგუფის გაზიარება, ხალხის მიზიდვის ან სხვა ნებისმიერი მიზნით.
5. **ყალბი ინფორმაცია & ყალბი ანგარიში:** ჯგუფში იკრძალება: ისეთი სიახლის განთავსება, რომელიც არ შეესაბამება რეალობას (მეტი დამაჯერებლობისთვის დაურთეთ მსგავს სიახლეებს რეალური წყარო), ასევე იკრძალება ყალბი ანგარიშით ჯგუფში გაწევრიანება და სიახლეების განთავსება.
6. **კონფიდენციალურობა:** ჯგუფში იკრძალება: განცხადების/ვიდეო/ფოტო/მასალის განთავსება, რომელზეც მოცემულია: პირადობის მოწმობის, ბანკის ბარათის, პასპორტის, ელ. ფოსტის, პაროლების, ტელეფონის ნომრებისა და საცხოვრებელი მისამართების ინფორმაცია.
7. **ყიდვა-გაყიდვა 1/2/3:** 1. ყიდვა-გაყიდვის განცხადებაზე ფასის არ მითითების შემთხვევაში მსგავსი განცხადება წაიშლება. 2. ჯგუფში იკრძალება: სხვის მიერ განთავსებულ განცხადებებზე შენივე განცხადების განთავსება კომენტარის სახით. 3. ჯგუფში იკრძალება: ცეცხლსასროლი იარაღის ფოტო/ვიდეო მასალის განთავსება მისი ყიდვა-გაყიდვის მიზნით.
8. **მედიკამენტი:** ჯგუფში იკრძალება: ნებისმიერი სახის მედიკამენტის ფოტო/ვიდეო მასალის განთავსება.